ცნობის ფურცელი

№ 2573 სამშაბათი, 3 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2573

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

წავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას არტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამგვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი **ქ. გიგინეიშვილი.**

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—11)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა ა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. იფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა —1—2 საათ. ყოველ დღე.

მძ. **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.— კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდა-ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხაილის ქუჩიდან-კი 34 Б. (1-ლ.)

ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყოლოდანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ისყიდება

სადალაქო თავის მოწყობილობით, ჩემის ქმრის უდროვოდ გარდაცვალების გამო. მიჰმართეთ ოლგინის ქ. № 16.

(3—2) ალ. ბარბაქაძე.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს შეშის **იჯარა** ილოს. შეშა ქალაქის გამგეობისა და იმის ხელქვეით დაწესებულებათათვის არის საჭირო. იჯარის მსურველი უნდა მივიდეს საჯარო ვაჭრობაზე გამგეობაში 5 აგვისტოს, დილის 11 საათზე. (3—6.—1).

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაევი

იღებს შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით 1—3 და საღამოთი 5—8 საათამდე.

[illegible] მიხეილის ქუჩისა № 47. (10—253—10)

ქუთაისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **იმ პირველ დასა[illegible]ის ახალ სასწავლებლებში**, რომელთაც წელს აარსებს ქალაქი, ერთი სასწავლებელი გაიხსნება გაღმა ვაჟთათვის და მეორე—გამოღმა ქალებისათვის. თხოვნები უნდა შეტანილ იქნას **ქალაქის გამგეობაში 1 აგვისტოდან ამა 1904 წლისა.** (5—6.—1)

ამა წლის 6 აგვისტოდან, პარასკევს ათ საათიდან, გაიხსნება

იაფ-ფასიანი სჩაიე

ოლგას ქუჩაზე, თავ. ბეგთაბეგოვის სახლში, იაფ-ფასიანის და უფასო სასადილოების და სჩაიების საზოგადოებისა ტფილისში.

ნიხრი:

კერძი (პორცია) ერთი მოწყობილობით და ორი ნატეხი შაქრით 2 კაპეიკი; ორი მოწყობილობით და ოთხი ნატეხი შაქრით 3 კაპ.; ადუღებული წყალი უფასოდ.

სჩაიე იქნება ღია დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე. (უ. 2—1)

მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება

ოფიციალურმა დეპეშამ გვაუწყა გუშინწინ რუსეთის ყველა ერთგულ ქვეშევრდომთათვის სასიხარულო ამბავი: დაიბადა მემკვიდრე ცესარევიჩი, რომელსაც წმ. ლოცვის შემდეგ ალექსეი ეწოდა. ამ ფრიად სამწუხარო დროში, როცა რუსეთს გარემოებამ ასეთი ძნელი და მწარე ომი გაუჩინა, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება ნუგეშად მოევლინება არა მარტო უავგუსტოეს ოჯახს, არამედ ყველა იმ ერთგულ ქვეშევრდომთაც, რომელნიც შეწუხებული არიან იმპერიის დღევანდელ განსაცდელისაგან. ამიტომაც მთელი რუსეთი მხურვალე გრძნობით მიეგებება უმაღლესის მანიფესტის სიტყვებს: **„ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად მხურვალე ლოცვით ვევედრებით უზენაესს, რათა კეთილად აღზარდოს და წარმატება მიანიჭოს ჩვენს პირმშო ძეს“.**

უავგუსტოეს მშობლებს ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფე დედოფალს ეს მეხუთე შვილი შეეძინათ: პირველი—დიდი მთავრინა ოლგა, დაიბადა 1895 წ. 3 ნოემბერს, მეორე—დიდი მთავრინა ტატიანა, დაიბადა 1897 წ. 29 მაისს, მესამე—დიდი მთავრინა მარიამ, დაიბადა 1899 წელს 14 ივნისს, მეოთხე—დიდი მთავრინა ანასტასია, დაიბადა 1901 წ. 5 ივლისს და მეხუთეც—30 ივლისს 1904 წ. მაღალ-შობილი მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსეი ნიკოლოზის ძე. მის უმაღლესობის დაბადებამდე ტახტის მემკვიდრედ ბრძანდებოდა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ხელმწიფე იმპერატორის უავგუსტოესი ძმა; ეხლა, თანახმად სახელმწიფო ძირითად კანონებისა, მემკვიდრედ აღიარებულ იქმნა მაღალ ახლად-შობილი დიდი მთავარი, რაც უკვე გამოცხადდა 31 ივლისის უმაღლესს მანიფესტში.

მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის დაბადებამ მთელს რუსეთში თანაგრძნობა და სიხარული გამოიწვია. ყველგან სამადლობელი პარაკლისები იქმნა გადახდილი და დღესასწაულობა გაიმართა; ბევრგან, ალბად, რაიმე კეთილის საქმით აღნიშნავენ ამ დღეს; მაგალითი მოსკოვმა მისცა ყველას: იქ ქალაქმა კიდეც გადასწყვიტა მემკვიდრე-ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად საპროფესსიო სასწავლებლის დაარსება 300 ვაჟისათვის. რუსეთთან ერთად თანაგრძნობასა და მილოცვას უგზავნიან უავგუსტოესს მშობლებს ყველა სახელმწიფოები. რუსეთის ყველა ერთგულ ქვეშევრდომთან ერთად უცხოელებიც მხურვალე ლოცვით ევედრებიან უზენაესს, მრავალჟამიერს-ჰყოს მაღალ-ახლად-შობილი და წარმატება მიანიჭოს მას მთელის რუსეთის სადიდებლადა და საკეთილდღეოდ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აგვისტო

მუკდენი. ხმა დადის, რომ იაპონელთა კარგა ბლომა ჯარი, უთუოდ კუროკის არმია, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ მოდისო. ყველა ეს იმის ნიშანია, რომ ამ ცოტა ხანში დიდი ამბები მოხდება.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ცინდაოდან მიღებულ დეპეშის თანახმად, „ცესარევიჩი“ ნაპირის მახლობლად გაჩერდა. იაპონელებმა მოითხოვეს, რუსის გემები ზღვაში გამოვიდნენ და შეგვებრძოლონო. პასუხად შეუთვალეს, ამ გემებს იარაღი აეყრებათო. კონტრ-ნაღმიანი გემები „ბეზშუმნი“ და „ბეზპოშჩადნი“ მცირედ დაზიანდნენ. კონტრ-ნაღმიანი გემი „ბეზსტრაშნი“ სულ არ დაზიანებულა.—გერმანიის კრეისერი „თეტისი“ ჩიფუდან ცინდაოს წავიდა. ხმა დადის, ტოგოს ესკადრა შანხაისკენ გაემართაო.

ნიჟნეტაგილსკი. წითელის ჯვრის ადგილობრივმა კომიტეტმა მოაწყო საავადმყოფო 41 დაჭრილისათვის. აკურთხეს აგრეთვე ის ადგილი, სადაც დამატებითი 20 საწოლი იქნება მოწყობილი.

ბუხარესტი. 31 ივლისს პეტერბურგში გაიგზავნა ორი ვაგონი ნივთებით სავსე. ნივთები მეფემა და დედოფალმა შესწირეს რუსეთის წითელ ჯვარს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „დეილი ტელეგრაფ“-ში ასეთი დეპეშაა დაბეჭდილი: შანხაი. 27 ივლისი. ხმა დადის, რუსები აიშანჩუიდან ჩრდილოეთისაკენ იხევენ, აიშანჩუანში მხოლოდ კავალერია დასტოვესო. გენ. კუროპატკინი ლიაოიანიდანაც უკან დახევას აპირებსო.

„ტაიმს“ ს ატყობინებენ ტოკიოდან: აქ ცნობა მოვიდა, ვითომ რუსის ჯარი მუკდენისაკენ იხევსო. („ნ. დ.“).

ფრანგულ გაზ. „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი სწერს: რუსეთის შტაბის აფიცერმა მითხრა: მართლაც და საშიშია, ვაი თუ გენ. კუროპატკინმა ძალა-უნებურად ლიაოიანი დასტოვოს, ქალაქი და აუარებელი საწყობები დასწვასო. თუ ასე მოხდა, რუსის ჯარმა მაშინ საჩქაროდ უნდა დაიხიოს მუკდენისაკენ და უკან დახევის დროს საკვები სურსათი სალდათებისა და ცხენებისათვის ჩინელებისაგან იშოვოსო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, გენ. კუროპატკინს ისეთი ძლიერი ჯარი ჰყავს, რომ უკან აღარ დაიხევს და იაპონელებს ლიაოიანთან შეებრძოლებაო. ეს ბრძოლა 10 აგვისტოზე ადრე არ მოხდება, რადგან იაპონელებს დიდი ხანგრძლივი დამზადება დასჭირდებათ ბრძოლისათვისაო: პოზიციები უნდა დაიჭირონ, გაამაგრონ, სანგრები და საფრები გამართონო.

გერმანულ გაზეთებს ცნობები მოსდით, ვითომ გენ. კუროპატკინს იერიშის მიტანა სწადიან გენ. ოკუსა და ნოძუს არმიებზეო. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჩუანიდან, რუსები თავიანთ ჯარს რკინის გზას ახლო აყენებენო. ამ ჟამად ექვსი დივიზია სადგურ ანშანჩანს უკან უდგათო.

„დეილი მეილ“-ი იუწყება: ანშანჩანთან რკინის გზის ახლო იაპონელებსა და რუსის უკანა ჯარს შეტაკება მოუვიდათო. „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტიც ამოწმებს ამ ცნობას.

ბევრნი ჰფიქრობენ, თუ გენ. კუროპატკინი დიდ ბრძოლას არ მოერიდა, ეს ბრძოლა უთუოდ ანშანჩანთან მოჰხდებაო. ანშანჩანი პატარა სოფელია ჩინელებისა მდ. ტუხეზე, 25 ვერსის მანძილზე ლიაოიანიდან, სამხრეთით; აქ მანჯურიის რკინის გზის სადგურიცაა. დღემდე ამ პატარა სოფლისა და სადგურის სახელი თითქმის არავის გაეგონა, ეხლა-კი ევროპასა, თუ იაპონიაში ჰფიქრობენ, ანშანჩანთან უდიდესი ბრძოლა მოხდება და რუსეთ-იაპონიას ომის საქმეც აქ გადასწყდებაო.

„მატენ“-ის საგანგებო კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: რუსეთის მთავარშტაბს ცნობა მოუვიდა, 22 ივლისს სამხრეთ-მანჯურიაში წვიმა დაიწყო და სრულ სამს დღეს აღარ გადაიღო, ამიტომ იაპონელებმა ლიაოიანისაკენ გალაშქრება შეაყენესო. („მ. ვ.“).

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: აქ 22 ივლისს კოკის-პირულმა წვიმამ დაუშო, ლიაოიანი ერთბაშად გუბედ გადააქცია და გზები სულ დახრამაო.

„დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი სწერს: გენ. კუროკი თანდათან წინ მიდის, რუსები უკან იხევენ. იაპონელებმა რუსებს კიდევ ერთი უღელტეხილი წაართვეს. რუსებმა ტიანშუაჩანიდან 5 მილის მანძილზე დასავლეთით ახალი პოზიცია დაიჭირეს და ძლიერ გაამაგრეს; ლიაოიანიდანაც ახალი ჯარი მოიშველიეს. („რ. ს.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან: რუსები ანპინსა და ლანძიშანს შუა (ლიაოანის აღმოსავლეთით) მეტად მედგრად იცავენ თავიანთ პოზიციებსაო. ფინშუილინის უღელტეხილის დასავლეთით რუსებმა სადარაჯო რაზმები დააყენეს და სანგრებსა და საფრებს ჰმართავენო.

სეულიდან ატყობინებენ „ტაიმს“-ს: გენ. კუროკიმ მუკდენის გზაზე მაგარი პოზიცია დაიჭირაო. („მ. ვ.“).

პეკინიდან ატყობინებენ „ტაიმს“-ს: შეიძლება, გენ. კუროკიმ ლიაოიანსა და მუკდენს შუა პოზიცია დაიჭიროს. თუ ეს გამართლდა, მაშინ რუსის ჯარი დიდ განსაცდელში ჩავარდება. ეჭვი არაა, თუ რუსის ჯარი მდ. ლიაოს მარჯვენა მხარეს გადავა და ჩინეთის ნეიტრალურ ადგილებში ფეხს შესდგამს, ორ წყალ შუა—ჩინელების ჯარსა და იაპონელების ჯარს შუა მოექცევა. 10 ივლისს 65 რუსის სალდათმა სადგურ კაუპანძეს ახლო გაიარა, მუკდენ-სინმინტინის გზაზე ჩინეთის კედელს იქით. რუსები ცხენებზე ისხდნენ, ორ-ორი თითოზე და ჩინეთის სამფლობელოში თივისა და ქერის საშოვნელად მიდიოდნენო. („რ. ლ.“).

ინგლისურ გაზეთებს ცნობა მოუვიდათ სამხედრო კორესპონდენტებისაგან: იაპონელმა სარდლებმა ლიაოიანის ჩრდილოეთით ჯარი გაგზავნეს იმ აზრით, რომ რუსებს გზა მოუჭრან და ჩრდილოეთისაკენ აღარ გაუშვანო. („რ. ლ.“).

„იტალია მილიტერ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ინკოუდან. ხაიჩენიდან რომ უკან დაიხიეს, რუსებს მეტად ცუდი დღე დაადგათ; ჯერ ასეთი გაჭირება ამ ომის დროს არ გამოუცდიათ. ჯარს საშინელ აუტანელ სიცხეში მოუხდა უკან დახევა; სიცხე თითქმის 66 გრადუსამდე (რეომიურით) ადიოდა. რუსის სალდათები ათასობით ცვივოდნენ დედამიწაზე და ბევრნი გზაშივე იხოცებოდნენ. ბოლოს სიცხემ ისე შეაწუხა, რომ არა მგონია იმდენ ჯარში ვისმე ბრძოლა შესძლებოდა; სალდათებმა ყველაფერი, რაც ზედ მძიმე ბარგი, ან ტანისამოსი ეკიდათ, მოიხსნეს და გადაყარესო. („რ. ლ.“).

ხაიჩენთან ბრძოლის დროს რუსებს აეროსტატები (ჰაერში მფრინავი ბურთები) მოუხმარებიათ იაპონელების ჯარის დასაზვერად. („რ. ლ.“).

იაპონიის პირველ არმიის სასანიტარო რაზმმა ოფიციალური მოხსენება გამოჰგზავნა. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ სამძის ახლო რუსებს ხუთის იაპონელის ჯარის კაცის გვამი დაესახიჩრებინათ. („მ. ვ.“).

გერმანული გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: იაპონელი სალდათი გონების განვითარებით გაცილებით მაღლა დგას რუსის სალდათზეო. ცოდნა ნამდვილ კეთილ ანგელოზივით ეხმარება იაპონელებსაო. რუსეთში 150 მილიონ ხალხში სულ 4,193,594 ბავშვი დადის სკოლაში, იაპონიაში კი 47 მილიონ ხალხში 4,302,623 ბავშვი იღებს სწავლას. („რ. ლ.“).

პორტ-არტური. ჩიფუდან ატყობინებენ „დეილი მეილ“-ს, იაპონელმა გენერალმა შეუთვალა პორტ-არტურის კომენდანტს (ციხის უფროსს), ყველა კერძო ხალხი, ვინც-კი ციხის დაცვაში მონაწილეობას არ იღებს, პორტ-არტურიდან გაისტუმრეთ სადმეო. ამის შემდეგ ბევრი რუსი მოხელე წავიდა პორტ-არტურიდან ჩიფუში.

იაპონიის კონსულმა ჩიფუში გამოაცხადა, ტყუილია ის ცნობა, ვითომ იაპონელებს პორტ-არტურთან დიდი ზარალი მოჰსვლოდეთო. („რ. ლ.).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელი აფიცრები ირწმუნებიან, ტყუილია ის ცნობა, ვითომ იაპონიის ჯარს პორტ-არტურთან დიდი ზარალი მოჰსვლოდეს. ჩიფუდან ამბავი მოვიდა, 27 ივლისს პორტ-არტურთან გამწვავებული ბრძოლა მოხდაო. მთელი დღე ზარბაზნის სროლა ისმოდაო. („რ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: პორტ-არტურიდან მოსული ხალხი ამბობს, ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ იაპონელები ერთის ვერსის მანძილზე დგანან პორტ-არტურის ციხიდანა და ეხლა თხრილებსა სთხრიან ციხისკენაო. მგლის გორაზე 60 ზარბაზანი უდგათო.

„დეილი მეილ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: 19 ივლისიდან 24-მდე პორტ-არტურთან განუწყვეტელი ბრძოლა იყოო.

უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან ჩიფუდან: რუსები ჩიფუდან ყველაფერს აწვდიან პორტ-არტურის ჯარს, წიგნებსა და გაზეთებსაც უგზავნიან. პორტ-არტურელები სამაგიეროდ ყუმბარების ნატეხებს უგზავნიან და თხოულობენ, სახსოვრად შეგვინახეთო. („რ. ს.“).

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 31 ივლისს განიხილა ხმ. ა. ს. ბაბოვის წინადადება, ხელ-ახლა შუამდგომლობა აღიძრას **ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების** შესახებ. გამგეობამ დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ტფილისში დაარსდეს პოლიტეხნიკუმი სამთო და სამეურნეო განყოფილებებით მისის იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსეი ნიკოლოზის ძის დაბადების სახსოვრად. თუ ვინიცობაა ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, ტფილისი პოლიტეხნიკუმის სადგომისათვის დაუთმობს საჭირო მიწას და აგრეთვე იმ 100,000 მან., რომელიც გადადებულია უნივერსიტეტის მოსახმარებლად.

◆ დღეს, 3 აგვისტოსათვის დანიშნულია სხდომა ტფილისის ქალაქის **სასანიტარო კომისიისა.**

◆ **საქართველოს ექსარხოსი**, რომელიც ამ ჟამად ესენტუკშია, ტფილისს 10 აგვისტოს დაბრუნდება.

◆ **საჩხერე.** ქურდობა დღითი-დღე ძლიერდება აქეთ. 15 ივლისს, ღამე, სოფელ ბახიოთში მცხოვრებ ბეჟან აბდუშელიშვილს მოჰპარეს ორი ცხენი; 18 ივლისს სოფელ ხალიფაურის მცხოვრებს კოწია მასხარაშვილს მოჰპარეს 80 მან. ღირებული ცხენი; 25 ივლისს, ღამით, სოფელ საირხეს მცხოვრებს ანდრია შუკაკიძეს მოჰპარეს ერთი უღელი ხარი. გლეხს ამ ერთი უღელი ხარის მეტი არა გააჩნდა-რა. წვრილმან ქურდობას ხომ ანგარიში არა აქვს.

◆ უმაღლესმა სამკურნალო გამგეობამ განუმარტა საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებას, რომ იმათ, ვინც **სასაფლაოებთან კერძო სახლების** აშენებას მოისურვებს იმ მანძილზე ახლო, რომელიც კანონშია აღნიშნული, ნების დასართველად უნდა მიმართონ ადგილობრივ გუბერნატორსაო. მოხსენებას ასეთ საქმეების შესახებ ჯერ განიხილავს სამკურნალო განყოფილება და შემდეგ გუბერნატორი.

◆ ა. ი. მანთაშევი და პ. ი. გუკასოვი აარსებენ **ახალ საზოგადოებას** ნავთის გასასყიდად. ძირის თანხად საზოგადოებას სამი მილიონი მანეთი ექნება, სამი ათას პაიად გაყოფილი; თითო პაი ათას მანეთად ეღირება. წესდება ამ ახალ საზოგადოებისა უკვე წარედგინა დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს. საზოგადოების გამგეობა ბაქოში იქნება.

◆ **ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის** მოსამზადებელ და პირველ კლასებში მისაღები ეგზამენები მოხდება 25, 26 და 27 აგვისტოს. თხოვნები საჭირო ქაღალდებთან ერთად მიიღება 20 აგვისტომდე. მოსწავლეთა განმეორებითი ეგზამენები ამავე გიმნაზიაში დაიწყება 23 აგვისტოს.

◆ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ აცნობა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ გუბერნატორი წინააღმდეგი არ არის ექიმი გძელიშვილი დაინიშნოს **კუკიის სამკურნალოს** გამგედ, ხოლო ექიმი ქალი მუხარინსკისა—ამ განყოფილების ექიმად.

◆ სოფ. გორისა (ზემო იმერეთი). აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ივლისის პირველ რიცხვებში ქალაქ ხარბინიდან თავის მამის სახლში დაბრუნდა გორისას მცხოვრები იოსებ შეუდაშვილი. სოფელში ხმა გავარდნილა: იოსება ფულის საშოვარში იყო, ბევრი ფული იშოვნა და ჩამოიტანაო. 25 ივლისს, ღამეს, იოსება შინ არ იყო. ხუთ შეიარაღებულ კაცამდე შეპარვია ფიდო შეუდაშვილის სახლში იმ დროს, როცა თითქმის ყველას სძინებია. ერთი დარაჯად დაუყენებიათ კარში, ორნი ფიდოს ცოლსა და ბავშვებს წასევიან, შეუბოჭავთ საბანში და უბრძანებიათ, ხმა არ ამოიღოთ, თორემ გაგათავებთო. დანარჩენთ ხელში ჩაუგდიათ ფიდო შეუდაშვილი და მოუთხოვნიათ, ფული მოგვეციო. ფიდოს უარი უთქვამს, არა მაქვს ფულიო. ავაზაკებს ვერც ერთი კაპეიკი ვერ უნახავთ, მაგრამ თვითონ ფიდო ისე მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლით, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. პოლიციამ ბოროტ-განმზრახველნი უკვე დააპატიმრა.

◆ „ლიუქსის“ ფირმამ აღუთქვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, თუ ნებას დაგვრთავთ კერძო სახლების ელექტრონით გასანათებლად ქუჩებში მავთულები გავიყვანოთ, უფასოდ რამდენსამე ფარანს დავდგამთო. რადგან ფირმას ეს დაპირება აქამდე არ აუსრულებია, გუშინ გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ მისწერა ფირმას, თუ არ შეასრულებთ დაპირებას, ფირმა დაჯარიმებულ იქნებაო.

◆ საინჟენერო ქუჩაზე მცხოვრებ ინჟენერ-პოლკოვნიკს ლეონორ ბალბაშევსკის სახლიდან 29 ივლისს ვიღაც ქურდს მოუპარავს ვერცხლის ნივთები. ქურდი ფანჯარაში გადაპარულა ბაღჩიდან იმ დროს, როცა სახლში მყოფნი სახლის მეორე მხარეს აივანზე ყოფილან. ეჭვი ქურდობაში ინჟენერმა გამოაცხადა საინჟენერო უწყების სალდათებზე.

◆ ტფილისის მოქალაქის არტემ დონიევის მკვლელი, რომელიც აქამდე დამალული იყო, 28 ივლისს პოლიციამ დააპატიმრა.

◆ 30 ივლისს პოლიციის 1 ნაწილში ივანე ალაროვის ნავმა მტკვარში დაიჭირა ასე 8 წლის ქალის გვამი. ვინაობა დამხრჩვალისა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

◆ ბარიათინსკისა და და გოლოვინის პროსპექტის შესართავთან საკუთარ სახლში მცხოვრებმა ტფილისის მოქალაქემ ზაქარია ვარნავოვმა განუცხადა პოლიციას, რომ 30 ივლისს, ღამე ჩემმა მოსამსახურემ მიხეილ არზუმანოვმა მომპარა ფულად 40 მან., საათი, ქამარი და სხვა ნივთები სულ 90 მანეთისაო. არზუმანოვი სადღაც გადამალულა.

◆ გოლოვინის პროსპექტზე, თავ. ორბელიანის სახლს, სადაც მოთავსებულია „ბოიარსკი ნომრები“, გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და შინაურულისავე საშუალებით ჩააქრეს.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, 29 ივლისს, ღამის 11 საათზე, თელავის მაზრის სოფელ საბუეს მცხოვრების ილია თავბერიძისთვის ვიღაც ქურდს მოუპარავს ნივთები 83 მანეთისა. თავბერიძემ ეჭვი მიიტანა მსახურს გიორგი პაპიშვილზე.

რუსეთის ქრონიკა

◆ „სუდ. გაზ.“-ის სიტყვით, ახალი კანონი პოლიტიკურ დანაშაულობათა შესახებ არ ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარ განსაკუთრებულ საბჭოს უფლებებს. ეს საბჭო განაგებს საქმეებს პოლიტიკურად არა კეთილ-საიმედო პირთა გადასახლების შესახებ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში, 1-5 წლის ვადით. ამნაირად შესაძლებელია, რომ ის საქმეები პოლიტიკურ დანაშაულობათა შესახებ, რომელიც მოსპობილ იქმნება ახალ კანონის ძალით, ხსენებულმა საბჭომ განიხილოს და თავისი მსჯავრი დასდოს.

◆ გაზ. „რუს“-ში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი პეტერბურგის ორის მცხოვრებისა: „23 ივლისს, ღამე, ჩვენ წავედით პეტრე დიდის პროსპექტზე ნაცნობ კაცთან საქმეზე მოსალაპარაკებლად. ნაცნობი სახლში არ დაგვხვდა. იმის სახლის შესავალთან ქუჩაში დავჯექით სკამზე და მუსაიფი გავმართეთ. სხვათა შორის, რუსეთ-იაპონიის ომის შესახებაც ელაპარაკობდით და ყურადღება არ მივაქციეთ იმას, რომ ჩვენ ვიღაც დარაჯი მოგვიახლოვდა და ყურს გვიგდებდა. მალე დარაჯი წავიდა და რამდენისამე წუთის შემდეგ მოვიდა უბნის ზედამხედველით, სამის „გოროდოვოითა“ და ორის „დვორნიკით“. ამათ დაგვიჭირეს და პოლიციაში წაგვიყვანეს. იქ გამოგვიცხადეს, იაპონიის ჯაშუშები ხართ და იმიტომ დაგიჭირეთო. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ აქ რაღაც შეცდომა იყო და მალე გავიმართლებდით

ფელეტონი

პრეზიდენტ კრიუგერის გარდაცვალება

(წერილი შვეიცარიიდან)

შვეიცარიის პატარა ქალაქ კლარანში 14 (1) მკათათვეს გარდაიცვალა ოთხმოცის წლის მოხუცი, ბურების დაუვიწყარი წინამძღოლი და პატრონი, მათის ქვეყნის, ტრანსვაალის, ნაპრეზიდენტლარი პავლე კრიუგერი.

ჯერ ისევ ბურ-ინგლისთა ომი არ გათავებულიყო, რომ პრეზიდენტი ტრანსვაალისა კრიუგერი, რაკი მოხუცებულობისა გამო არ შეეძლო იარაღი აესხა და თავისს თანამოძმეთ მხარში ამოსდგომოდა, იძულებულ იქმნა თავისი ხალხი ბრძოლის ველზე მიეტოვებინა და თვითონ ევროპაში წამოსულიყო, რომ საქრისტიანოს ერთათვის თვისის ერის უბედურება შეეზივლა და ქრისტიანული შველა-დახმარება ეთხოვნა. „ცნობ. ფურცლის“ მკითხველთ უთუოდ ახსოვთ, რომ საქრისტიანო ევროპამ საზოგადოდ მხოლოდ სიტყვით ანუგეშა დაჩაგრულ ბურთა წარმომადგენელი და გერმანიის იმპერატორმა კი ეს სიტყვიერი ნუგეშიც კი არ გაიმეტა და მის სანახავად მისული მწუხარე მოხუცი აღარც კი მიიღო... სხვა-და-სხვა პოლიტიკურის მოსაზრებით. იმედ გაცრუებული მამულიშვილი იძულებულ იქმნა შორიდან ეყურებინა, როგორ უსამართლოდ სულსა ჰხდიდა მისს ერთ მუჭა ხალხს დღისით-მზისით, მთელის „განათლებულის“ ევროპის წინაშე, გაუმაძღარი კაპიტალისტური ინგლისი. ბედმა მწარე ხვედრი არგუნა მოხუცს, წმიდა მოხუცს: თავის თვალით ენახა საყვარელ ქვეყნის დამონება მტერთაგან და საუკუნოდ იმედი მოსპობოდა, რომ ამ ქვეყანას, თუნდაც დამონებულს, თავისუფლება წართმეულს კვლავ კიდევ იხილავდა.

და აჰა, წმიდა მოხუციც ბედს შეურიგდა და დაუძლურებულმა, გულ-გატეხილმა იწყო თავისთა დღეთა თვლა ჯერ პატარა და სტუმართმოყვარე ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში, ბოლოს, ექიმების რჩევით, შემოეფარა პატარასავე თავისუფალ შვეიცარიის—მყუდრო დაბა კლარანს, სადაც წარსულ მაისის 25 (12) მოვიდა. მაგრამ აქ იმდენად დაუძლურებული და დაავადებული ჩამოვიდა, რომ ჩამოსვლის შემდეგ გარედ გამოსული, და ისიც ეტლით, მხოლოდ ერთხელა ნახეს აქაურებმა. დანარჩენს დროს სულ შინ იჯდა და ელოდა აღსასრულის დღეს. 14 (1) მკათათვეს კიდეც განუტევა სული ფილტვების ანთებისაგან.

თქმა არ უნდა, „ცნობის ფურცლის“ მკითხველნი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ბურ-ინგლისელთა ომს და იცნობენ როგორც თვით ბურებს, ისე მათ წინამძღოლთ, განსაკუთრებით მათს პრეზიდენტს პავლე კრიუგერს. ამიტომ დაწვრილებით ლაპარაკი კრიუგერის შესახებ მეტი გვგონია. ყოველსავე შემთხვევაში ის კი მეტი არ იქმნება მკითხველს ხსოვნაში მოკლედ აღვუდგინოთ ამ ისტორიულის პირის ვინაობა, რადგან იგი მჭიდროდ შეერთებულია ბურების ცხოვრებასა და ისტორიასთან, ასე რომ კრიუგერის მოკლე ცხოვრების აღწერა იმავე დროს იქმნება მოკლე ისტორია ბურთა არსებობისა, განვითარებისა, ისტორია კაპიტალისტურ ინგლისის საკოლონიო ავაზაკობისა, ბურთა დამოუკიდებლობის მოსპობისა.

როგორც თვით ბურები, კრიუგერიც ინგლისელთა ახალშენს კაპშია (სამხრეთ აფრიკა) დაბადებული. დაიბადა 1825 წელს ჰოლანდიიდან გადმოსახლებულ მშობელთაგან. ათის წლის უკან, 1835 წელს, ერთმა ნაწილმა ჰოლანდიელ ახალმოშენეთა კაპს თავი დაანება, რომ ინგლისელთა ბატონობისათვის თავი დაეღწია. კრიუგერის მშობლებიც უკმაყოფილოთა რიცხვში ერივნენ. ამ გადმოსახლებულთაგან წარმოსდგა ბურთა (ანუ გლეხთა) ერი. გადმოსახლებულნი ჯერ ნატალისაკენ გაემართნენ და დაარსეს დამოუკიდებელი საზოგადოება.

მაგრამ როცა 1842 წ. ინგლისელთ ნატალის დამორჩილებაც განიზრახეს, ბურები ხელ-ახლა აირივნენ და 1848 წ. დააარსეს ორანჟის რესპუბლიკა და სამი საზოგადოება: პოჩევსტროონ, ზოუპანსბერგი და ლიდენბურგი. ეს სამი საზოგადოება პრეტორიუსმა 1882 წელს გააერთიანა და დაარსდა ეგრედ წოდებული ტრანსვაალის რესპუბლიკა.

კრიუგერი ყოველისავე ამის მომსწრე და მონაწილე იყო. როგორც უმრავლესობა მისთა მემამულეთა, კრიუგერიც მეურნეობას მისდევდა, უბრალო მხვნელ-მთესველის და საქონლის მომშენებლის იარაღი ეჭირა ხელში. მაგრამ ამასთანავე საზოგადო საქმეებშიაც მონაწილეობას იღებდა. მისთა თანამემამულეთა ყურადღება მიიქცია მისმა ბუნებრივმა ნიჭმა, ვაჟკაცობამ და ყოველ გაჭირვების წინაშე საოცარმა სულის სიმშვიდემ. ამ თვისებათა წყალობით 1881 წელს კრიუგერი ტრანსვაალელთა ჯარის უფროსად აირჩიეს ინგლისელთ წინააღმდეგ გამართულს ომში. ინგლისელთ ომი წააგეს მაჯუბა-ჰილში და კრიუგერმაც უმეტესად გაითქვა სახელი.

ორის წლის უკან, 1883 წ. კრიუგერი ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს თანამემამულეთა, იმავე თანამდებობაზე ხელ-ახლა აირჩიეს 1888, 1893 და 1898 წლებში. ტრანსვაალის ნიადაგში დამარხული ოქროები, დიდი ხანია, ძილს უფრთხობდა ინგლისის კაპიტალისტებს. და აი ამ სიმდიდრის წასართმევად ინგლისის მთავრობა ომს უცხადებს ერთს მუჭა ხალხს ბურებისას. მართალია, თანამედროვე ომი რომ მოითხოვდა, ისე მომზადებული არ იყვნენ ბურები საომრად, მეომართა რიცხვიც მცირედი იყო, გარნა მოსულს მტერს მაინც გაუბედეს შებმა. ამ ერთმა მუჭა ხალხმა მთელი ქვეყანა გააკვირვა თვისის მამაცობით, თვისის შეუდრეკელობით, თვისის მამულის მოყვარეობით ყველამ აისხა იარაღი, ყველამ, განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ასაკისა. ომობდა ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზდა, ბრძოლის ველზე გამოსული იყო რამდენიმე მოდგმა ერთად—ასის წლის პაპიდან მოკიდებული ვიდრე 14 წლის შვილის-შვილის-შვილამდე; იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. და ასე თავგანწირვით იმიტომ იბრძოდნენ, რომ იცავდნენ თავიანთს წმიდათა-წმიდას—საყვარელს მამულს, მათის ოფლით გაპოხიერებულს; იცავდნენ კერას, იცავდნენ: მამა-შვილს, შვილი—მამას, ქმარი—ცოლს და ცოლი—ქმარს; ხოლო ყველანი საერთოდ—სულზე უტკბესს რესპუბლიკას. მათმა სარდლებმა თავიანთის მამაცობით, თავიანთის რაინდობით თავიანთი სახელი უკვდავ ჰყვეს. განა ვისმე დაავიწყდება მთელის კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვარი გმირები: ბოტა, კრონიე, დელარეი, დევეტი და მრავალი სხვა? მთელის ორის წლის განმავლობაში ეს ერთი მუჭა ხალხი უზარმაზარს ინგლისს კრიჭაში ედგა, მოსულს მტერს მამაცად იგერიებდა, პირველში ბედმა გაუღიმა კიდეც და ინგლისის ჯარს საქმე გაუჭირა, მაგრამ ინგლისის მთავრობამ, საკოლონიო მინისტრის, ბურების სისხლს მოწყურებულ ჩემბერლენის წაქეზებით გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაეტეხა ეს კერპი და გაუტეხელი ხალხი. ძვირად დაუჯდა ინგლისს თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთან ომი. ათი-ათასობით დაიმარხნენ ინგლისის ჯარის-კაცნი სამხრეთ აფრიკის ველებზე. მაგრამ ბოლოს ბურები მაინც სძლია მტრის სიმრავლემ. ქედი მოიხარა, თავისუფლებაზე ძალაუნებურად ხელი აიღო ამ ქედმაღალმა და ამაყმა ხალხმა და გუშინდელი დამოუკიდებელი მოქალაქე ტრანსვაალის რესპუბლიკისა—დღეს უბრალო ქვეშევრდომია დიდ ბრიტანეთის მეფისა. ასეთია სიმუხთლე და გაუტანლობა ბედისა.

„ძია პავლემ“. (ასე ეძახდნენ კრიუგერს საალერსოდ ბურები) თვისის ერის დამოუკიდებლობისათვის ზრუნვას შეალია თავისი ქონება, სულიერი და ხორციელი ძალა; შვილები, შვილის-შვილები ბრძოლის ველზე დაეხოცნენ, ეს რომ ევროპაში იყო, იქ ტრანსვაალში მოხუცებული მეუღლე გარდაეცვალა. მწუხარება არ დაჰკლებია უკანასკნელ ხანამდე. როგორც ღვთის მოშიში ადამიანი, უკანასკნელ ხანამდე იმედს არა ჰკარ-

თავს. მოვიდა ჩვენი ნაცნობი, რომლის კარებთან დაგვიჭირეს, და დაამოწმა ჩვენი ვინაობა. ვთხოვეთ პოლიციის მოხელეებს, ცნობები შეეკრიბათ ჩვენ შესახებ, მაგრამ იმათ მხოლოდ ოქმზე ხელი მოგვაწერინეს და რაღაც მყრალ, ბაღლინჯოებით სავსე ბუნაგში გაგვგზავნეს ღამის გასათევად. იქ ხმელ ფიცრებზე გავათიეთ ღამე. მეორე დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, ჯერ სხვა-და-სხვა საბოქაულოებში და შემდეგ გაძლიერებულ დაცვის განყოფილებაში გაგვგზავნეს, სადაც ღამის 2 საათამდის ვიყავით დამწყვდეულნი. ღამის 2 საათზე წაგვიყვანეს ჟანდარმის როტმისტრთან, რომელმაც ზრდილობიანად დაგვიბრუნა ნივთები და ქაღალდები და გამოგვიცხადა, თავისუფალნი ხართო. ეს გახლავთ ჩვენი თავ-გადასავალი. მხოლოდ უნდა დავსძინოთ, რომ საპატიმროში, სადაც 27 საათი გავატარეთ, ჩვენთვის არაფერი არ უჭმევიათ. მ. როდე. ვ. ორლოვსკი“.

◆ ტომსკის მომრიგებელ სასამართლოში განიხილეს საქმე ტუსაღის სტეფანე ზავიალოვისა. მომრიგებელ მოსამართლის წინ წარსდგა 38 წლის კაცი, რომელსაც ბრალდებოდა რაღაც წვრილმანის მოპარვა, და სთქვა: „დიაღ, მე მოვიპარე. ბ. მსაჯულო, 18 წელიწადია, რაც უფრო მეტ ნაწილად სატუსაღოში ვცხოვრობ, არაფერი ქაღალდები არა მაქვს. გამომიშვებენ თუ არა სატუსაღოდან, ვეძებ რამე სამუშაოს, მაგრამ ვინ მიმიღებს უქაღალდოთა და ამ ტანისამოსში გამოწყობილს, სხვა კი მე არა მაქვს. ეხლაც ბევრი ვიარე, მაგრამ ვერაფერი ვიშოვე, მომშივდა და მოვიპარე წვრილმანი ნივთები. ქურდობასაც ვერ ვახერხებ კარგად: მაშინათვე დამიჭირეს. მოიღეთ მოწყალება, ბ. მსაჯულო, ან მიშოვეთ რამე ქაღალდი, ან სამუდამოთ ჩამსვით სატუსაღოში, რომ მოვისვენო“.

◆ სამხრეთ რუსეთში „ცოცხალი საქონლის“, ქალების, საშოვარად ათას ნაირ ეშმაკობას ხმარობენ გაიძვერა ვაჭბატონები, რომ მოატყუილონ საბრალო მსხვერპლნი. ამ უკანასკნელ დროს ძალიან გახშირებულია შემდეგი საუკეთესო საშუალება. აირჩევენ თუ არა მსხვერპლს, დაუწყებენ არშიყობას, ეუბნებიან მგზავრები ვართო, ან რომელიმე სავაჭრო სახლის, ფირმის წარმომადგენელნიო და სთხოვენ ცოლობას; ქორწილის შემდეგ ახალგაზრდები სამგზავროდ საზღვარ გარეთ მიდიან, რასაკვირველია, სტამბოლში. იქ კი ძალიან ადვილად ჰყიდიან ქმრები თავის უმწეო ცოლებს საზიზღარ საროსკიპოებში. რასაკვირველია, ეს ვაჭბატონები ბევრჯერ ირთავენ ცოლს სხვა-და-სხვა სახელითა და გვარით.

◆ რუსეთში ჭურჭლის უდიდეს ქარხანას, „კუზნეცოვ და კო.“-ს, ქესატობის გამო დაუთხოვია მუშების მთელი რიცხვის ორი მესამედი.

◆ პეტერბურგის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას სხვა-და-სხვა შეზღუდვა-დაბრკოლებანი გათხოვილ და გაუთხოვარ ქალთათვის პასპორტების მიცემის დროს.

◆ წელს ევროპის რუსეთში 648 ვერსის მანძილზე გაუხსნიათ ახალი რკინის გზები, ციმბირში—25 ვერსის მანძილზე და ფინლიანდიაში—200 ვერსის მანძილზე. ამ ჟამად მართავენ რკინის გზებს—5,108 ვერსზე და გადაუწყვეტიათ 5,512 ვერსზე ახალი რკინის გზების გამართვა.

◆ ციმბირის სადგურ ადრიანოვკიდან სწერენ „ნოვ. ვრ.“-ს: მას აქეთ, რაც აქ სახელმწიფო არყის სავაჭრო გაიხსნა, ისე გაძლიერდა ლოთობა მუშებსა და რკინის გზის მოსამსახურეთა შორის, რომ ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ მატარებლების მიმოსვლა შეეჩერებინათ, რადგან ერთი ფხიზელი კაცი არ მოიპოვებოდა სადგურზე. რკინის გზის გამგეობა შუამდგომლობს ამ არყის სავაჭროს დახურვის შესახებ.

◆ ვიღაც უცნობ კაცს, ინჟინერის ფორმაში გამოწყობილს, დაუვლია მოსკოვის უმდიდრესი მაღაზიები, უთქვამს, ციმბირის რკინის გზის გამგეობის მინდობილობით სხვა და სხვა ნივთები და მებელი უნდა ვიყიდოო, დაუკვეთია მაღაზიებში 300 ათასი მანეთის საქონელი, მაღაზიების პატრონთა გული მოუგია და აუღია ჩვეულებრივი ეგრეთ წოდებული „საინჟენერო“ ქრთამი, დაკვეთილ საქონლის 5 პროცენტი. გარდა ამისა მაღაზიის პატრონები უხვად გაჰმასპინძლებიან ამ ვაჟ-ბატონს, უქეიფნიათ მასთან ერთად, სანამ არ აღმოჩენილა, რომ ქურდ-გაიძვერასთან ჰქონიათ საქმე.

◆ პეტერბურგში გარდაიცვალა ისტორიკოსი ვ. ბილბასოვი, „ეკატერინე მე-II-ს ისტორიის“ ავტორი და გაზ. „გოლოს“-ის ყოფილი რედაქტორი.

◆ „ს.-პეტ. ვედ.“-ს სწერენ ქ. ლიპოციდან (კიევის გუბ.), რომ ადგილობრივ პოლიციას შემოუღია იქ განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი წესები: დაუკისრებია შეუძლო სახლის პატრონთათვის ღამ-ღამობით თავის სახლების დარაჯობა. ვინც ამ განკარგულებას არა ასრულებს, პოლიცია აჯარიმებს და აპატიმრებს თურმე. ამას წინად ერთ სახლის დაპატიმრებულ პატრონს უჩივლია სენატში; სენატს გაუუქმებია სასჯელი და უწესოდ უცვნია პოლიციის მოქმედება.

პრესსა

გაზეთი „მოსკოვ. ვედომ.“ № 207-ის მეთაურ წერილში „ვისთვის იყო საჭირო ვ. კ. პლევეს სიკვდილი“? ჩვეულებისამებრ მეტად მძიმე ბრალსა სდებს ერობას. გრინგმუტის გაზეთი გულმოდგინედ სდევნის ყოველგვარ საზოგადოებრივ დაწესებულებას და თვითმმართველობას, ნამეტურ ერობას, და ყოველის შემთხვევით სარგებლობს, რომ წიხლი დაკრას ისედაც საკმაოდ წაბორძიკებულ საერობო დაწესებულებას. აი, ახლაც ისარგებლა შემთხვევით და მინისტრის პლევეს მოკვლაც ერობას მოახვია თავზე. გაზეთი სწერს:

> ვისთვის იყო საჭირო მეფის ამ ერთგულის მსახურისა და რუსეთის საკეთილდღეოდ დაუცხრომელის მუშაკის სიკვდილი? უმრავლესობა გიპასუხებთ: იმ გაბოროტებულ ბრბოსათვის, რომელიც თავის თავს „რუსეთის სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის“ სახელს უწოდებსო და რომელმაც უკანასკნელ წლებში თავი ისახელა ბევრ საზიზღარ მკვლელობითაო. რომ პლევეს მკვლელი ამ პარტიიდან გამოვიდა, ამაში ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ. მაგრამ საკითხი ის არის, ამ პარტიის პროგრამა ითხოულობდა პლევეს მოკვლას თუ სხვის ჩაგონებით მოხდა იგი?
>
> უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში ჩვენის რევოლიუციონერების დევიზად შეიქნა: „რაც უარესად იქნება, ის უმჯობესიაო“ და სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რევოლიუციონერები შეურყეველის სიმტკიცით ერთგულობენ ამ დევიზს. რუსეთის ყოველ გაჭირვებას—ომი იქნება თუ შიმშილი—ისინი გულითადის სიხარულით ეგებებიან. რატომ? იმიტომ რომ ასეთ გაჭირვების დროს მცირე იმედი ებადებათ—იქნება ხალხმა ველარ მოითმინოს ახალი გაჭირვება და რევოლიუციონერებს გაუწოდოს ხელი თანამდროვე სახელმწიფო, საზოგადო და საეკონომიო წესწყობილების დასამხობადაო... ამნაირსავე გრძნობას იწვევდა ჩვენს რევოლიუციონერებში რომელიმე შინაური რეფორმა. როცა განიზრახეს და აღასრულეს კიდეც საქალაქო დებულების, ერობის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეზღუდვა-შესწორება, ლიბერალები სტიროდნენ და სიმწარისაგან კბილებს აკრაჭუნებდნენ. ჩვენი რევოლიუციონერები-კი ამ დროს ხმა მაღლა სიხარულს აცხადებდნენ და იცინოდნენ, იმიტომ რომ იმედი ებადებოდათ: იქნება ახლა მაინც მიატოვონ ლიბერალებმა ლეგალური მუშაობა და სარევოლიუციო მოღვაწეობას მიჰმართონო.
>
> ასე იყო წინად, მაგრამ ნელ-ნელა სურათი იცვლება. ჩვენს დროში საგუბერნიო ერობის სამოღვაწეო ასპარეზი თანდათან ფართოვდება, რასაც შედეგად მოჰყვა საერობო ბიუროკრატიის ზრდა. მთავარ ადგილს საერობო დაწესებულებაში, ადგილობრივ არჩეულ ხმოსნების მაგიერ, მოსული ინტელიგენტები იჭერენ. ეს ინტელიგენტები-კი შემაერთებელ ხიდათ გახდნენ ლიბერალებსა და რევოლიუციონერებს შუა. გავიხსენოთ თუნდა პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში მომხდარი გლეხთა უწესოებანი: მთავრობის განცხადება ამ უწესოებათა გამო პირდაპირ ასახელებდა ერობის ინტელიგენტ-მსახურთ, როგორც გლეხების წამქეზებელთ... ჩვენმა რადიკალებმა შეიგნეს, რომ შესაძლებელია სარევოლიუციო და საერობო მოღვაწეობის შეერთება. მართლაც, რიღასთვის ათრიოს ჩუმად ჯიბეში რევოლიუციონერმა წიგნაკი „ხიტრაია მეხანიკა“ და იმის გავრცელებისათვის ციხეში რიღასთვის ამოყოს თავი, როცა თავისუფლად შეუძლია ერობის სამსახურში გაავრცელოს გლეხებს შორის პუგაჩოვის აჯანყების საისტორიო სურათები და ბუნდოვანის ფარნით უჩვენოს ისინი ხალხს? განა ესეც სასურველ ნაყოფს არ მოიტანს?
>
> როცა ეს შეიგნეს რევოლიუციონერებმა და ერობაში დამკვიდრდნენ, მაშინვე გამოიცვალეს თავისი აზრი ერობაზე. წინად ტვერის საგუბერნიო ერობის „დაწიოკება-დამხობა“ პლევესაგან, რევოლიუციონერებში მხოლოდ სიხარულს გამოიწვევდა, რადგან, მათის აზრით, ასეთ დაწიოკებას საზოგადოების უკმაყოფილება მოჰყვება; ეხლა-კი მთავრობის განკარგულებამ ტვერის ერობის შესახებ ძალიან დაალონა ჩვენი რევოლიუციონერები. ასეთივე დამაღონებელი იყო მათთვის მინისტრების დ. ს. სიპიაგინისა და ვ. კ. პლევეს მოღვაწეობა. ამათი პოლიტიკა ერობის საქმეში ყველამ კარგად იცის. „რუსსკ. ვედომ.“-მა ამ დღეებშიაც გაიმეორა, რომ სიპიაგინსა და პლევეს არ უყვარდათ ერობა და უნდოდათ ადგილობრივ საარჩევნო უფლების გაუქმებაო. უკანასკნელ დროს გაზეთებმაც გაავრცელეს ამბავი, რომ პლევეს განზრახვა აქვს გადააკეთოს საგუბერნიო ერობა, შეზღუდოს იმის კომპეტენციაო. ამ გარემოებამ ფრიად შეაშინა საერობო ინტილიგენტ-მოღვაწეები და აქედან წარმოსდგა შურისძიების სურვილიც. ამრიგად, პლევეს მოკვლა ერობის მოღვაწეებს ჰსურდათ, ხოლო მათი სურვილი რევოლიუციონერებმა განახორციელეს.
>
> ჩვენ, რასაკვირველია, ერობის ყველა მოღვაწეთ არა ვსდებთ ბრალსა. ვიცით, რომ მათ შორისაც მოიძებნებიან რიგიანი და პატიოსანი ადამიანები; მაგრამ უარყოფა იმისა, რომ რუსეთის ერობისა და სარევოლიუციო პარტიის შორის ამ ჟამად კავშირი არსებობს, აღარ შეიძლება: პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში მომხდარ არეულობამ და სხვა ფაქტებმაც დაგვიმტკიცეს ასეთ კავშირის არსებობა. და აი, სიპიაგინისა და პლევეს მოკვლაც აქედან, ერობის წრეებიდან, ჩააგონეს რევოლიუციონერებს.

გვდა—ევროპა გაერევა საქმეში, ინგლისს დაუშლის და ბურებს სულ არ გააწყვეტინებსო. მაგრამ ყოველივე იმედი გაცრუვდა და სიცოცხლითვე მოესწრო თავისის ქვეყნის დამონავებას. ყოველსავე განვლილს მწუხარებას ისიც დაერთო, რომ ღრმად მოხუცებულს, დაუძლურებულს, ჯან და გულგატეხილს, ცალის ფეხით სამარეში ჩადმდგარს ინგლისის მთავრობამ აღუკრძალა ტრანსვაალში დაბრუნება. ასეთი მოწამებრივი იყო კრიუგერის სიცოცხლის უკანასკნელი დღე. და რო კვდებოდა, ანდერძად დაავდო: რაკი ცოცხალს არ მაღირსეს ჩემის ხალხისა და მამულის უკანასკნელად ნახვა, მკვდარი მაინც წამასვენეთ და სამშობლო მიწა დამაყარეთო.

—

სამძიმარის დეპეშები, როგორც მოსალოდნელიც იყო, მრავალი მოვიდა კლარანში გარდაცვალებულ პრეზიდენტის შვილის-შვილის ქ-ნ ელოფის სახელობაზე. სხვა დეპეშათა შორის არის დეპეშა საფრანგეთის პრეზიდენტის ბ-ნის ლუბესიც. ორანჟის რესპუბლიკის ნაპრეზიდენტალი ბ-ნი შტეინი იწერება ჰააგიდან: „მისი (კრიუგერის) სიკვდილი უსაზღვროდ დამაღონებელია არა მარტო მისის ოჯახობისათვის, არამედ მთელის სამხრეთ-აფრიკის ხალხისათვის. ეს ხალხი ჰგლოვობს დაკარგვას თავის უდიდეს შვილისას, სამშობლოდან დანდევნილ და მოწამებრივის სიკვდილით გადაცვლილ შვილისას. პავლე კრიუგერი ჩვენთვის დარჩება ქრისტეს მიერ მამად, სათაყვანო მეგობრად და უდიდეს მამულიშვილად. მისი სახელი დაუვიწყარი იქნება მის დამძარებულ და ძალით მოსილ ხალხის ხსოვნაში. ვსტირი და ვგლოვობ მისს გარდაცვალებას, ვინაიდან ის იყო ჩემი კეთილი ძმა და სამაგალითო მეგობარი“.

თვით ბურებს, უსაზღვრო მწუხარებით მოცულთ, მათმა ყოფილმა მთავარ-სარდალმა გენერალმა ბოტამ წერილით მიჰმართა ყოფილ აფიცრებს, მოხელეთა და მცხოვრებთა ტრანსვაალისათა და სთხოვა: „17 (4) მკათათვე გლოვისა და ზარის დღედ ჩასთვალონ და ოცდაათის დღის განმავლობაში იგლოვონ გარდაცვალებული კრიუგერი. ასეთი დიდი და ძლიერი კაცი,—ამბობს გენერალი ბოტა თავის მოწოდებაში,—ჩვენს ხალხს არა ჰყოლია. ჩვენი გულითად მადლობა ეკუთვნის ამ კაცს, რომ მხნედ და თავგანწირვით სცდილობდა—აფრიკის ხალხისაგან ერი, ნაცია შეექმნა. მისი სიკვდილი მით უფრო სავალალოა, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ნება არ მისცეს თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი ენახა. ეს კაცი საუკუნოდ გვეყვარება მთელის ჩვენის სიყვარულით, მხოლოდ დრო ჟამამდე ჩუმად ვიქნებით“.

საინტერესოა გავეცნოთ წერილები, გარდაცვალებულის ხსოვნას ევროპის პრესამ რომ უძღვნა. საერთოდ გაზეთები პატივით იხსენიებენ კრიუგერს თვისის პირადის ღირსებისათვის, თუმცა იმასაც არა ჰმალავენ, რომ, როგორც პოლიტიკოსს, ბევრი ნაკლი ჰქონდაო. საინტერესოა კერძოდ ინგლისის გაზეთების აზრი.

კონსერვატიული გაზეთი „სტანდარ“-ი ამბობს: „შეგვეძლო არა გვყვარებოდა კრიუგერი, გვძულებოდა კიდეც, გარნა მისთა ღირსებათა უარყოფა ყოვლად შეუძლებელი იყო. სახელი კრიუგერისა ეგრევე დაუვიწყარი და მარად სახსოვარი იქმნება, როგორც სახელი ბისმარკისა და აბრაამ ლინკოლნისა (ამერიკის შეერთებულ შტატთა პრეზიდენტი). შეუძლებელია არ განაცვიფროს ადამიანი მისმა საპოლიტიკო კარიერამ ან სიბრალული არ აღუძრას მისმა პატრიოტისმით აღსავსე დასასრულმა“.

ლიბერალური გაზეთი „დეილი ნევს“ აღტაცებით იხსენიებს კრიუგერს: „საკმარისია მოვიგონოთ, რომ კაცი, სესილ როდსს საფლავში რომ ჩაყვა, იბრძოდა იმ გრძნობისათვის, რომელიც მარად-ჟამს ყველასათვის საქებური იყო: სიყვარული მამულისა, თავისის ხალხისა, სიყვარული თავისუფლებისა. ყოველისავე ამის პატრონი კრიუგერი გმირთა შორის შეირიცხება“.

„ტაიმს“-ი კი უფრო თავდაჭერილია: „კრიუგერი არც გმირი იყო და არც წმიდანი. ჭკუითა და გრძნობით ბოლომდე ფერმერად დარჩა. მაგრამ ამასთანვე ღირსებაცა ჰქონდა და ნაკლულევანებაც თავის ერისა; და ჩვენის მტრის სწორედ ეს ღირსება იყო, რომ ჩვენ, ინგლისელთ, გვაკვირვებდა. ინგლისს ნამდვილი ადამიანი უყვარს, და კრიუგერიც თავით-ფეხებამდე ნამდვილი ადამიანი იყო. მისი დამარცხება ხელ-საყრელი იყო აფრიკის რესპუბლიკათა და ცივილიზაციისათვის. ყოველსავე შემთხვევაში, არ შეგვიძლია არ დაგვაღონოს ბედმა ამ კაცისამ, რომელმაც ყოველივე შესწირა თავისს სამშობლოსა და რომელიც სააქაოდან ჰქრება დამარცხებული და სამშობლოდან განდევნილი“.

„დეილი ქრონიკლ“-ს იმედი აქვს, რომ კრიუგერის სიკვდილი ინგლისში არ აღძრავს სხვა გრძნობას, თვინიერ სიბრალულისა იმ კაცისადმი, რომელიც სამშობლოს მოშორებით გარდაიცვალა. იმავე გაზეთს იმედი აქვს, რომ ინგლისის საზოგადოება სიმპატიურად მოეკიდება ყოველსავე იმას, რაც ამ სიმპატიის ღირსი იყო კრიუგერის ხანგრძლივს საზოგადო მოღვაწეობაში.

ჰოლანდიის გაზეთები, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდის ქებით იხსენიებენ გარდაცვალებულს. მაგალითად, „ჰანდელსბლად“-ი ამბობს: „უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა მოხუცს მისის ქვეყნის დამარცხებამ ჩაამწარა. გარნა მთელი ქვეყანა თანაუგრძნობდა და დიდების გვირგვინით შეამკო მისი უკანასკნელი წამი“.—„ტელეგრაფი“ ამბობს: „ევროპაში მოგზაურობის დროს მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ყველამ და ამ თანაგრძნობის ცოტადაც არის უნდა ენუგეშებინა მოხუცი. მხოლოდ ამ თანაგრძნობამ ვერ განუკურნა მტრისაგან მიღებული ჭრილობანი“.—„ნევ როტერდამშ კურან“: „რაცა ამა თუ იმ კაცის შესახებ ბევრნაირი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში, ძნელია რამე გადაწყვეტილი ითქვას მანამდე, სანამ არ გაივლის ხანა, როცა ეს კაცი თვალ-საჩინო როლს თამაშობდა საზოგადო ასპარეზზე. მომავალი თაობა დააფასებს ამ კაცის მოღვაწეობას. კრიუგერთან ერთად ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ბურების თავისუფლების საქმე დაკარგულად და უიმედოდ არ ჩაითვლება. კრიუგერის სახელი მარად-ჟამს სასოებით სხენებული იქმნება.“

ბელგიის სოციალისტური გაზეთი „პეპლი“-ც ამ აზრისაა: „სახელოვანი მოხუცი, ახლა რომ გარდაიცვალა, განდევნილი, თავის ქვეყანას მოშორებული, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას საბოლოოდ მოკლებული, ერთი უკეთილშობილესი წევრი იყო ბურთა მამაც ხალხისა, რომელიც მილიტარისტურმა და კაპიტალისტურმა ინგლისმა დაამარცხა და აქეთ-იქით მიმოფანტა. მასში განხორციელებული იყო სიქველე, მამაცობა და პირდაპირობა ამ ძლიერის რასისა. გარდაიცვალა პატივცემული ყველა იმათგან, ვინც მოწამენი იყვნენ მისის ხალხის გაწყვეტისა, მაგრამ დახმარება-კი ვერ აღმოუჩინეს. მართალია, მეტის მეტი ღვთისმოშიში იყო და თავისს ხალხს ეუბნებოდა—ღმერთი არ გაგვწირავს, ღვთის იმედი იქონიეთო; მაგრამ ამავე დროს იმავე ხალხს თავისის ცხოვრებით და მედგარობით მაგალითს აძლევდა მხნეობისა და თავისუფლების სიყვარულისას. და ეს მხნეობა და ეს განუსაზღვრელი სიყვარული თავისუფლებისა დაამარცხა მხოლოდ მტრის გაცლებით უპირატესმა სიძლიერემ და სიმრავლემ“.

ინგლისის მთავრობამ ნება დართო კრიუგერი ტრანსვაალში დაასაფლავონ. მისს ნეშტს კლარანიდან 27 (14) მკათათვეს მიასვენებენ ჰააგაში, სადაც ელოდებიან, სხვათა მრავალთა შორის, ბ-ნი შტეინი, ორანჟის რესპუბლიკის ნაპრეზიდენტალი, ბ-ნი ლეიდი - ტრანსვაალის რესპუბლიკის სეკრეტრად ნამყოფი და სხ. ჰააგიდან კრიუგერის ნეშტს ჰოლანდიის სამხედრო გემით წაასვენებენ პირდაპირ ტრანსვაალში და იქ საუკუნოდ უნდა მიაბარონ სამშობლო მიწას მოსაგონებლად მისის დიდებულის ანდერძისა: სანამ ბურს პირში სული უდგას, არ დაივიწყოს, რომ ის მოვალეა დაკარგული თავისუფლება კვლავ აღადგინოს...

თ. ხ.

პირდაპირ შევხედოთ ამ ახალს მოვლენას და ახალი გზა ავირჩიოთ პოლიტიკურ მკვლელობათა მოსასპობლად.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აგვისტო

მუკდენი. (სააგ. საკუთ. კორესპ.). როგორც ჩინელები იუწყებიან, სინმინტინის ოლქში ხუნხუზთა მეთაურებმა ციიძუშანმა, ტულისანმა და ფოლინოგომ, იაპონელთა ხელმძღვანელობით, შეადგინეს ბრბოები, რომლებშიაც ათას-ათასი კაცია. თვითეულ ბრბოში ასი იაპონელია სამთო ზარბაზნით. ეს ბრბოები მდ. ლიაოხეს ხეობით მიდიან ზევით ჩვენ რკინის გზაზე დასაცემად.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 29 ივლისს, დილით, გემმა „იოკაიმარუ“-მ გაშლილ ზღვაში, კორეის ნაპირის მახლობლად, კუნძულ ქიგივეისთან, შენიშნა რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი, რომელიც დასავლეთისკენ მიდიოდა. „იოკაიმარუ“ მოემზადა ნაპირზე გასარიყად, მაგრამ კონტრ-ნაღმიანმა გემმა ხელი არ ახლო. რუსის გემი, აშკარაა, სცდილობდა პორტ-არტურში მისვლას; იგი უთუოდ დანარჩენ ესკადრას ჩამოშორდა 28 ივლისის ბრძოლის დროს.

შანჰაი. („რეიტ. სააგ.“). „ასკოლდი“ ნაშუადღევის 3 საათზე მოვიდა. გემზე ადმირალის ფლაგი ფრიალებს. „ასკოლდ“-ს მოგდებული აქვს ორი საკვამლე მილი და, საზოგადოდ, ძალიან არის დაზიანებული; უკანა კოშკი სრულიად განადგურებულია. გემი შეუდგა შეკეთებას დოკში. ჩინეთის გუბერნატორმა წინადადება მისცა „ასკოლდ“-სა და „გროზოვოი“-ს, 24 საათის შემდეგ წავიდნენ ნავთსადგურიდან. „ასკოლდ“-ის უფროსმა აცნობა, გემი ძალიან არის დაზიანებული, ზღვაში ვერ ივლის და ამიტომ შეკეთებამდე დავრჩებითო.—ადგილობრივი ნავოსნობა დიდად შეშინებულია. დამზღვევი საზოგადოებანი დაზღვევას აღარ კისრულობენ. იმ აზრისანი არიან აქ, რომ რუსები ჩინეთის ნეიტრალიტეტს არღვევს, რადგან შანჰაის თავის გემების შესაფარებლად ხმარობსო.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ჩინელების სიტყვით, ზღვაზე შეტაკების დასაწყისში იაპონელთა ოთხი გემი ებრძოდა რუსის გემს. იაპონელებს მალე მაშველი გემები მოუვიდათ. „ცესარევიჩ“-ს ნაღმით მოჰგლიჯა საჭე. ყუმბარებმა სხვა ზიანიც მიაყენეს. რუსის გემებმა ნახშირი მიიღეს სამ ინგლისელთა გემისაგან. ეს გემები ცინდაოში იდგნენ. 4 ნაღმიანი გემი, უთუოდ იაპონიისა, საღამოთი ჩიფუს ნავთსადგურში შევიდა. ერთი კრეისერი ნავთსადგურს გარედ დარჩა. ეს კრეისერი და ერთი ნაღმიანი გემი ნიშნებით გამოელაპარაკნენ ჩინეთის ადმირალის გემს.

პეკინი. („რეიტ. სააგ.“). ხმა დადის რომ გაშლილ ზღვაში ცინდაოსთან ბრძოლა მოხდა.—რუსისა და იაპონიის მისიები და აგრეთვე ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო არავითარ ცნობებს არ იძლევიან ომის შესახებ. ჩიფუში იაპონიის მოქმედების შესახებ დიპლომატები კორესპონდენტებთან ლაპარაკსაც კი ერიდებიან. ერთმა დიპლომატმა განაცხადა: „იაპონელებმა შეიპყრეს რუსის ნაღმიანი გემი ნეიტრალურ ნავთსადგურში; ამით იაპონელებს უნდათ სახელმწიფოებს თავიანთი აზრი გამოათქმევინონ—აქვს თუ არა რუსეთს უფლება სურვილისამებრ ჰგზავნოს თავისი გემები ნეიტრალურ ნავთსადგურში“.

1 აგვისტო.

ლონდონი. ინდოეთის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ინდოეთის საქმეთა სახელმწიფო სეკრეტარმა ბროდრიკმა განაცხადა საზოგადოებათა პალატაში: გენერალმა კიტჩენერმა შეიმუშავა გეგმა ინდოეთის არმიის სამობილიზაციო სისტემის შეცვლის შესახებ; ეს გეგმა ინდოეთის მთავრობას გადაეცა განსახილველადო. ტიბეტის მისიის შესახებ ბროდრიკმა სთქვა: „ჩვენი ჯარი შევიდა ლხასსაში; გულწრფელი განზრახვა გვქონდა შეთანხმების შემდეგ დაგვეტოვებია ქალაქი. ექსპედიცია ლხასსაში იმ დრომდე დარჩება, სანამ საჭირო იქნება. მთავრობას არა აქვს განზრახვა, დააარსოს ლხასსაში პროტექტორატი ან დანიშნოს იქ რეზიდენტი, ხოლო მტკიცედ გადაუწყვეტია, ინგლისის მიმართ პატივის ცემა დაამყაროს. ჩვენ სავსებით განუმარტეთ რუსეთის მთავრობას საქმის გარემოება და დავკმაყოფილდით რუსეთის პასუხით. ამ პასუხის მიხედვით, იმედი გვაქვს, რომ ისეთ ხელშეკრულობას დავდებთ ტიბეტელებთან, რომელიც მოსპობს სათომარ მოქმედებას“. ავღანისტანის შესახებ ბროდრიკმა განაცხადა, ემირს არავითარი ახალი პირობა არ დაუდვია შემწეობათა შესახებო.

ბელგრადი. სერბიის მეფემ გაგზავნა პეტერგოფში დეპეშა და გამოუცხადა ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფე დედოფალს თავისა და სერბიის ხალხის მხრივ გულწრფელი მილოცვა და უსურვა დღეგრძელობა ახალ დაბადებულს რუსის ტახტის მემკვიდრეს, სლავიანთა იმედს.

სტამბოლი. („კორ. ბიურო“). სულთანმა დეპეშით მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს მემკვიდრის დაბადება.

მოსკოვი. დღეს მოსკოვში მოვიდა მეფის მახარობელი გენერალ-ადიუტანტი თავადი დოლგორუკი. შუადღისას მიძინების ტაძარში, მოხელეთა და წარმომადგენელთა თანადასწრებით, გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისი და მთავარ-დიაკონმა წაიკითხა მანიფესტი. ქალაქის საბჭომ, მოისმინა რა მოურავის მიერ წაკითხული მანიფესტი, დაადგინა: გამოუცხადოს მათ უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი, დააარსოს სამას ბავშვისთვის საპროფესიონალო სასწავლებელი, რომელსაც დაერქმევა „სასწავლებელი ცესარევიჩ ალექსისა“, იშუამდგომლოს, რომ საბჭოს ნება მიეცეს წარუდგინოს მათ უდიდებულესობას ხატი წმ. ალექსისა და აპატიოს გადამხდელთ საავადმყოფოს გადასახადის დარჩენილი ფული, 30,000 მანეთი. საბჭოს მინდობილებით, ქალაქის მოურავმა მიართვა თავად დოლგორუკის ძვირფასი ფიალა. ვაჭართა საზოგადოებამ ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად გადასდო 170,000 მანეთი. ამ ფულით თბილი ტანისამოსი უნდა შეიძინონ დაჭრილ მეომართათვის. ამას გარდა ვაჭართა საზოგადოება მოქალაქეთა სასწავლებლებში აარსებს 50 სტიპენდიას.

2 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: „საერო განათლების სამინისტროს გამგეს გენერალ-ლეიტენანტს გლაზოვს ყოვლად უმოწყალესად ვუბრძანებთ იყოს საერო განათლების მინისტრად.

მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსეი ნიკოლოზის ძე დაინიშნა ყველა ყაზახთა ჯარების ატამანად.

ბიულეტენი მისი უდიდებულესობის ჯანმრთელობის შესახებ: „მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ღამე კარგად გაატარა. ტემპერატურა და მაჯა ნორმალურია. მემკვიდრე ცესარევიჩმაც გასული დღე კარგად გაატარა.

ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი თავადი ობოლენსკი დაინიშნა გენერალ ადიუტანტად მის იმპერატორებით უდიდებულესობასთან და იმავე დროს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე დარჩება.

ჟიტომირი. მოხდა სხდომა ვოლინის ძმობისა, რომელმაც განიზრახა აღადგინა რუსეთის უძველესის, ფრიად შესანიშნავი საისტორიო ძეგლის—ოვრუჩის სობოროსი, რომელიც მეათე საუკუნეში მთავარმა წმიდა ვლადიმერმა ააშენა სობოროს აღდგენა აღთქმად დასდვეს ომის კეთილად დაგვირგვინებისათვის და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო უფლისა მიმართ მადლობის გამოცხადებისათვის. ამ ჟამად კი ეს ტაძარი დანგრეულია.

ათინა. კუნძულ სამოსზე რამდენჯერმე მძლავრად იძრა მიწა. რამდენიმე სახლი დანგრეულია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ზორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

დაეკარგა ალექსანდრე ივანეს ძის დორნიკოვის მეტრიკა. მნახველთ ვთხოვთ გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: ქუთაისში იაკობ წიგნაძის რესტორანში. (3—1)

გამოვიდა ახალი

კატალოგი

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მაღაზიისა.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ ქართულ წიგნის მაღაზიებში. (3—უ—2)

ქუთაისში

სასტუმრო „როსია“

ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის **ნიკოლაძის** სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გვერდით. (15—კ. 6.—15).



ევალდ იანკოვსკი

კაფელის ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ღუმელებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—18) **ტელეფონი № 281.**



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი [illegible]ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრაანის ახლოს. (წ.—176—70)

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი ($^1/_{20}$) ფურჩქნლად.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი ($^1/_2$ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დამჟანგავდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—32)

ბალანსი

ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“-სი

1 იანვრის 1904 წლისათვის.

აქტივი.			პასივი.		
კასა	4.627	70	პაი ფულები	1.394	—
ბამბა	30.037	23	სათადარიგო თანა	654	02
ბამბის კურკა	2.738	05	სპეციალური მიმდინარე ანგარიში ქუთაისის საურთიერთო ბანკში.	35.623	63
უძრავი ქონება	3.188	90	განაღდებული ვექსილები	4.500	—
საპარკე ფარდული	2.456	64	სამორტიზაციო თანხა	2.099	51
საბამბე ფარდული	1.139	18	სხვა-და-სხვა კრედიტები.	1.057	58
სამეურნეო იარაღები და მასალა	2.367	24	გაუცემელი დივიდენდი	154	24
ხარჯები 1904 წლისათვის	252	25	მოგება	3.998	56
მორთვა-მოწყობილება	316	20			
აგენტები	836	32			
საწევრო ფული	600	—			
მოვალეები	888	66			
ბელის ნერგები	33	17			
	49.481	64		49.481	64

Доз. цензур. 2 Августа 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხა—ობა. Электропеч. Груз. Изд. То—ва